№ 9
27.03.03
ფ.40 თ.

# ფან-კლუბი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ოსკარის“ დამატება
გამოდის ყოველ ხუთშაბათს



## შეხვედი ნინი ქარსელაძეს პირისპირ



## ვინ არის სალომე გასვიანის მეგობარი შოუ-ბიზნესში?



## ვისთან გეგმავს დუეტის ჩაწერას ლელა წურწუმია



## ჰყავს თუ არა შეყვარებული მარიკა

# კითხვა-პასუხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რ**ა ფრაზა აქვს დათო ხუჯაძეს აკვიატებული?
ნინო, 9 წლის



დათო: – არ მახსენდება, პრინციპში არც მაქვს აკვიატებული ფრაზა.

**რ**ამდენი წლისაა ეკა კვალიაშვილი?
ლამარა.



– ეკა 38 წლისაა.

**რ**ამდენი წლისაა ზვიო?



– ზვიო 27 წლისაა.

**ჰ**ყავს თუ არა შეყვარებული მარიკა თხელიძეს?
გიო, 14 წლის



– მარიკამ თქვა, რომ ჯერ ამისთვის არ სცალია.

**მ**აინტერესებს გურამ ლომიძის ზოდიაქოს ნიშანი.
ლია, 17 წლის



– გურამი ზოდიაქოს ნიშანით ვერძია.

**ა**პირებენ თუ არა დაქორწინებას დათო ხუჯაძე და ქეთა თოფურია?
ეკა, 13 წლის



ქეთა: – არა, რა თქმა უნდა, ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ.

**ვ**ინ არის პროფესიით ეკა კახიანის ქმარი?
ლელუკა, 14 წლის



– ეკას ქმარი პროფესიით მსახიობია, თუმცა ამჟამად სხვა პროფილით მუშაობს.

**რ**ა ჰქვია ეკასა და იას ძმას?
ეკა, 12 წლის



– გიორგი.

**რ**ომელი სკოლა დაამთავრა ლელა წურწუმიამ?
ქეთი, 18 წლის



ლელა: – დავამთავრე გ. კობახიძის სახელობის (ფიზიკა-მათემატიკური) 77-ე საშუალო სკოლა.

**ჩ**ამოვა თუ არა ბაღდათში „ქუჩის ბიჭები"?
ჟანა, 11 წლის, ბაღდათი



ზურა: – ბაღდათში ერთხელ ვარ ნამყოფი და დიდი სიამოვნება მივიღე, თუკი მოეწყობა ჩვენი ტურნე, ალბათ, ერთ-ერთი კონცერტი ბაღდათშიც ჩატარდება.

**ს**ად შეიძლება ლელას გაცნობა?
ლონდა, 17 წლის



– სადაც კი შეხვდები და დაინახავ. გაზეთი „ფან-კლუბი" შენ ამის შანსს მოგცემს.

**რ**ომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშაა დაბადებული სალომე გასვიანი?



– სალომე ზოდიაქოს ნიშნით კუროა.

**ს**ად ისვენებს ზაფხულობით ნინი?
ნინი, 11 წლის



ხათუნა: – ზაფხულობით ან ჩაქვში ისვენებს ნინი, ან სარფში.

**რ**ატომ არ ჩანს კლიპმეიქერი გიორგი კიკალეიშვილი?
ლუიზა, 15 წლის



– გიორგი საზღვარგარეთ იმყოფება.


გაზეთი "ფან-კლუბი" ჟურნალ "ოსკარის" დამატებაა.
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
ჟურნალში მოყვანილი ჭორებისა და კულუარული ინფორმაციის შესახებ რედაქცია პასუხს არ აგებს.

მთ. რედაქტორი: ნოდარ მელაძე.
რედაქტორის მოადგილე: თამუნა გონგაძე.
ჟურნალისტები: ნინო კუტალაძე, თამთა მჭედლიშვილი.



გაზეთში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვის შემთხვევაში „ფან-კლუბის" მოხსენიება აუცილებელია.

# კითხვა-პასუხი

**ს**ად ცხოვრობს სტეფანე მღებრიშვილი?

თაკო.



– სტეფანე ავლაბარში ცხოვრობს.

**რ**ოგორი გოგონები მოსწონს გიგა კვენეტაძეს?



გიგა: – ისეთები, ვისაც სიყვარული შეუძლიათ, საერთოდ, ტიპიური გოგონები მომწონს.

**რ**ომელი სიმღერა უყვარს ზურას თავისი რეპერტუარიდან?

ზუზუ, 14 წლის



ზურა: – როგორც მამა ვერ არჩევს შვილებს, ისე ვერ ვარჩევ მეც ერთ რომელიმე კონკრეტულ სიმღერას. არ მიყვარს „ყველაფერი იყიდება“ და „მზის სხივი“.

**რ**ომელ უბანში ცხოვრობს ზურა ხაჩიძე?

– ზურა საბურთალოზე გადავიდა.

**ჰ**გვანან თუ არა მერაბ სეფაშვილს მისი ვაჟები?

ქეთევანი, 18 წლის



– მომღერალს ძალიან ჰგავს მისი უფროსი ვაჟი, მას პატარა მერაბს ეძახიან.

**ვ**ინ არის სალომე გასვიანის მეგობარი ქართულ შოუ-ბიზნესში?

ზიანა, 12 წლის



სალომე: – მე ყველა მომღერალ ბავშვთან კარგი დამოკიდებულება მაქვს, განსაკუთრებული ურთიერთობა კი მარიამ რონიშვილთან მაქვს.

**რ**ოდის არის „პიკასოს“ დაბადების დღე?

მანჩო, 17 წლის



– „პიკასოს“ დაბადების დღეა 12 თებერვალი.

**ჯ**ერონიმო ქუთაისელია?

გულიკო, 16 წლის

– ჯერონიმო ქუთაისელია.

**მ**აინტერესებს, ეწევა თუ არა სიგარეტს კახა კუხიანიძე?

ნატო, 14 წლის



კახა: – არა, არ ვეწევი.

**გ**ადაიღებს თუ არა ახალ კლიპს დათო ხუჯაძე?

თაკო, 15 წლის



– დათო ახალი კლიპის გადაღებას აპირებს სიმღერაზე „მახინჯი ვარ“, მაგრამ როდის, ეს ჯერ არ არის ცნობილი.

**ვ**ისთან გეგმავს ლელა დუეტის ჩაწერას?

გიორგი, 17 წლის



ლელა: – გეგმაში მაქვს მერაბთან, აჩიკოსთან და გურამ ლომიძესთან დუეტი.

**ს**ადაურია დათო?

თამუნა, 14 წლის



დათო: – მე იმერელი ვარ.

## ჭრელა-ჭრელა ამბები



თურმე მაია ბარათაშვილი ახლაც შინ ინახავს ბიძის ნაჩუქარ სათამაშო თეთრ ფისოს. მომღერალი 6 წლის იყო, როდესაც მასა და მის ბიძაშვილს ერთნაირი ფისოები მიუტანეს. მაიასგან განსხვავებით, მას მაშინვე გაუფუჭებია საჩუქარი, მაიას კი არაფერი დაუზიანებია მისთვის.



ია ფარულავას თავისი ბავშვობა ვერაზე გაუტარებია. მსახიობს საოცარი ნოსტალგია ეუფლებოდა, როდესაც თავის ქუჩაზე ჩაივლიდა. დაინახავდა წითელ-აგურისფერ ჭიშკარს, ვერ ბედავდა თურმე ეზოში შესვლას. ერთხელაც შესულა და საოცრად პატარა მოჩვენებია იქაურობა. მას ყველა ძველი მეზობელი უცვნია სახეზე.



გადაცემა „60 წუთის“ წამყვანმა აკაკი გოგიჩაიშვილმა თავისი მეუღლე ამერიკაში გაიცნო. ჟურნალისტი „ნატოს“ სამიტის გასაშუქებლად იყო შტატებში. ნინო იქ ჟურნალისტიკას ეუფლებოდა. აკაკის ოპერატორი მისი მეგობარი აღმოჩნდა და როდესაც მასთან მოვიდა სანახავად, აკაკიმაც გაიცნო იგი. „– ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ვთხოვე, საქართველოში რომ ჩამოვიდოდა, „რუსთავი 2“-ში მოსულიყო. მართლაც მოვიდა, მერე ერთმანეთიც შეგვიყვარდა და ერთად ვართ“ – ამბობს აკაკი.

## ჭრელა-ჭრულა ამბები



თურმე მაკა ასათიანი საოცრად ოპტიმისტი ყოფილა. მას ძალიან ჰყვარებია მზე. დიზაინერი ჭრელა-ჭრულა ფერების მოყვარულია და როგორც თვითონ აცხადებს, დიდი რაოდენობით იყენებს მათ თავის კოლექციებში. „– ამიტომაც უგემოვნობას მაბრალებენ", – ამბობს მაკა. დიზაინერი თვლის, რომ დაუზოგავი შრომაა საჭირო იმისთვის, რომ სასურველი შედეგი მიიღო და ადამიანებს გაუხალისო ცხოვრება.



თემო რცხილაძე ძალიან მეგობრული მამა ყოფილა. შვილები მას პირდაპირ სახელით მიმართავენ. თამუნა რომ გაჩნდა, მომღერალი 24 წლის ყოფილა. „– მახსოვს, პირველად რომ დავხედე ბავშვს, დავინახე საოცრად ლამაზი არსება, ლამაზი ნაკვთებით. იმ მომენტიდან თავი მამად ვიგრძენი" – ამბობს მომღერალი. რაც შეეხება ნიკუშას, მამის თქმით, იგი კარგად მღერის, თუმცა მას უფრო კომპიუტერი აინტერესებს.



ალბათ, გაინტერესებთ როგორია ცხოვრებაში ონავარი გიუნა ცერცვაძე, იგივე მალხაზ ქვრივიშვილი. მისი თქმით, ცხოვრებაში ისეთივე სანდომიანი, ერთგული და მეგობრულია, როგორც სერიალში. მალხაზი ფიცხიც ყოფილა და წამიერი აფეთქების შემდეგ შეიძლება ინანოს კიდეც. „– ყველას უნდა ჩემთან ურთიერთობა, იმიტომ, რომ ფიქრობენ, მეც მინდა", – ილიმება მსახიობი.

## „სეიშენს"



გამარჯობა ბიჭებო, ძალიან გვიყვარხართ და გვიხარია, რომ თქვენნაირი ნიჭიერი ახალგაზრდები ჰყავს საქართველოს. ძალიან მოგვეწონა კლიპი სიმღერაზე „მინდა გითხრა". ეს თქვენი პირველი სერიოზული და წარმატებული ნაბიჯია. ჩვენ გვჯერა თქვენი, გვჯერა იმის, რომ ამ პატარა საქართველოს პატარა შოუ-ბიზნესში თქვენი ნიჭის მფლობელები თქვენს სიტყვას იტყვით და ამით ძალიან ბევრს გაახარებთ. თქვენ იმ კატეგორიას მიეკუთვნებით, რომელსაც ცოცხლად სიმღერის არ ეშინია. ძალიან გვინდა თქვენი გაცნობა და გვჯერა, რომ ამ ოცნებას მალე ავისრულებთ. ლაშა, ლევან, ჯიმი, ზაზა ძალიან კარგები და საყვარლები ხართ. გვჯერა, რომ ყველა



მოისმენს თქვენს სიმღერებს და ძალიან შეგიყვარებთ. გვჯერა ისიც, რომ თქვენ კიდევ ბევრ ლამაზ სიმღერას გვაჩუქებთ, რომლებიც გაყოლენთილი იქნება თქვენი სიყვარულით. გისურვებთ წინსვლას კარიერასა და პირად ცხოვრებაში, სურვილების 200%-ით ასრულებას და ყველაფერ საუკეთესოს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. ამინ!

სიყვარულით „გოჭი" და ეკა.

## ზურა ხაჩიძეს

გამარჯობა ძვირფასო რედაქციავ, ყველა ძალიან მიყვარხართ. არავის არ ტოვებთ გულდაწყვეტილს და იმედია არც მე დამტოვებთ. წინასწარ დიდ მადლობას გიხდით.



მე მინდა მივმართო ჩემს კუმირ ზურა ხაჩიძეს. ზურა, მე ძალიან მომწონხარ, შენ სიმპათიური ჭკვიანი და უმშვენიერესი მომღერალი ხარ. ძალიან მომწონს შენი ხმა. მე მხოლოდ პლაკატებიდან გიცნობ. ზურა, ძალიან მიყვარხარ. არა მარტო მე, არამედ მთელ ბათუმს. შენნაირი მამაკაცი საქართველოში არ არსებობს. ჩემი ოცნებაა მალე გამიცნო. ეს მგონი, სამწუხაროდ არასდროს მოხდება და გული მტკივა. იმედს მაინც არ ვკარგავ. ჩემს ნათქვამზე არ გაგეცინოს რომ ვთქვი შენი გაცნობა მინდამეთქი. ზურა ზაფხულში მყავდა გერმანელი სტუმარი მას ანნა ერქვა. როდესაც ვიყიდე „ოსკარი" მასში იყო შენი სუპერ-პლაკატი და ანნა ამ სურათმა ძალიან გააოცა – ეს რა მშვენიერი ბიჭიაო. მთხოვა გამაცანიო, ეგონა ყველა მომღერლებს ვიცნობთ, სიცილით ვუთხარი ჩემს ოცნებაზე ლაპარაკობ-მეთქი. მერე ქალაქში რომ გავიყვანდი და დაინახავდა გაზეთებს ჩერდებოდა და ყიდულობდა შენს პლაკატებს. წასვლის დღეს დაითვალა და შენი 46 ცალი პლაკატი ჰქონდა. როდესაც გაემგზავრა 1-თვის შემდეგ დამირეკა და მითხრა ჩემი მეგობრები მთხოვენ პლაკატებს, მაგრამ არ ვაძლევო. ზურა ანნა წელსაც მესტუმრება და ჩამოვალთ აუცილებლად თბილისში. სად შეიძლება შენი გაცნობა, გთხოვ უყურადღებოთ ნუ დამტოვებ. ერთხელ არ მომაქციე ყურადღება, შენ და ტასო ბებოს რომ მოგწერეთ წერილი, მაგრამ ახლა შენი იმედი მაქვს. გთხოვ დაეხმარე ტანჯულ გოგოს. გკოცნი.

წინასწარ დიდი მადლობა. თქვენი იმედით ვცოცხლობ, თქვენ რომ არა ზურას ვერ გავესაუბრებოდი. გთხოვთ ეს ამბავი მთლიანად გამოაქვეყნოთ. დიდი მადლობელი ვარ თქვენი.

შენი ფანი, 16 წლის „ბუსი"

*(სტილი დაცულია)*

## „სთეისს"



პირველ რიგში, მინდა მადლობა გადაგიხადოთ „ფან-კლუბის" დაარსებისთვის, რადგან თქვენი გაზეთით საშუალება მეძლევა მოვეფერო ჩემთვის ყველაზე საყვარელ ჯგუფ „სთეისს".

ჩემო ძვირფასებო, ჩემო სიცოცხლეებო, ძალიან ძალიან მიყვარხართ და გაფასებთ. უზომოდ მიყვარს თქვენი სიმღერები, რადგან მათი მოსმენისას სულიერად ვისვენებ. არაჩვეულებრივი ადამიანები ხართ, უზომოდ თბილები და საყვარლები. დარწმუნებული ვარ თქვენი ნიჭით და მონდომებით უდიდეს წარმატებას მიაღწევთ. თავს აღარ მოგაბეზრებთ და უბრალოდ გეტყვით, რომ მე თქვენს ფანებთან ერთად სულ თქვენს გვერდით ვიქნები. მიყვარხართ.

P.S. აქვე მინდა მივმართო „სთეისის" ერთ-ერთ ფანს კუსპარას. კუსპარ, ძალიან მინდა შენი გაცნობა და თუ შენც წინააღმდეგი არ იქნები იქნებ როგორმე დამიკავშირდე.

დიდი სიყვარულით „სთეისის" ფანი ნინო.

# მუსიკალური ვიქტორინა

მათ, ვისაც ინტუიცია არ ღალატობს, ან შეუძლია ნოტების საშუალებით სიმღერის აწყობა, გაზეთი "ფან-კლუბი" აძლევს საშუალებას გაერთოს და ამასთანავე პრიზებიც მოიგოს. მოცემული ხუთი სიმღერიდან თქვენ უნდა გამოიცნოთ: პლაკატების ნაკრების მოსაგებად — სამი მათგანი, კალმისტრის მოსაგებად — ოთხი, ხოლო სუვენირის მოსაგებად — ხუთი სიმღერა. თქვენი პასუხები უნდა ჩაწეროთ ქვემოთ მოცემულ ბლანკში და გამოგზავნოთ მისამართზე: კოსტავას 14.

1. სიმღერა ფრთამალ და ნაცარა ჩიტზე



2. სიმღერა ქარზე, აფრაზე და ლაშქარზე.



3. სიმღერა მთაში იალაღზე გაზრდილ ვაჟკაცზე



4. სიმღერა ქალაქზე, სადაც ცა ოცნებებითაა ანთებული.



5. სიმღერა ოქროსფერთმიან ქალბატონზე, რომელიც მარტოსულია.



მუსიკალური ვიქტორინა №7.

1 ____________________

2 ____________________

3 ____________________

4 ____________________

5 ____________________

გვარი, სახელი, ტელეფონის ნომერი

## ზურა ხაჩიძეს



გამარჯობა „ფან-კლუბელებო!" ეს ჩემი პირველი წერილია და გთხოვთ უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. მე მინდა თქვენი დახმარებით მოვესიყვარულო ჩემს უსაყვარლეს ჯგუფ „ქუჩის ბიჭების" წევრს ზურა ხაჩიძეს. წინასწარ დიდ მადლობას გიხდით.

ზურა, ჩემო ლამაზო, მინდა გითხრა, რომ სიგიჟემდე მიყვარხარ, შენ ჩემი სიცოცხლე ხარ. ჩემს ცხოვრებას უშენოდ აზრი არ აქვს. შენ ჩემთვის ანგელოზი ხარ, მე კი შენთვის პატარა ბავშვი, რომელსაც შენზე ჭკუა ეკეტება. მინდა გითხრა, რომ ყოველთვის „შენთან ვიქნები", მინდა გითხრა, რომ „შენზე ფიქრები მალვიძებდა, შენზე ოცნება მაფიქრებს", მინდა გითხრა, რომ ყოველთვის „ოცნებების სამყაროში" გხვდები. „მინდა გიყვარდე", ისე როგორც მე მიყვარხარ. მინდა მოგეფერო, გაკოცო და შენს გვერდით ვიყო სიცოცხლის ბოლომდე. „მინდა შენი სიყვარული დავხატო, მინდა შენთან ყოფნით გამათბო". ყოველ ღამეს არ მაძინებს „ოცნება შენზე". შენ ჩემი სუნთქვა ხარ. მინდა იცოდე, რომ ყოველთვის მეყვარები. „ლამაზი ღამე" მინდა შენთან ერთად გავატარო შენ ჩემი სიცოცხლის ნაპერწკალი ხარ. „მე ხომ ყველაფერი შენსავით მიყვარს" ჩემო სიხარულო. შენმა სიყვარულმა ლექსი დამაწერინა, რომელსაც გიძღვნი შენ:

„ჩემო სიცოცხლევ,
ჩემო ცხოვრებავ,
შენზე ფიქრებით ვსუნთქავ
და ვცოცხლობ.
შენ მე მასწავლე ის
სიყვარული,
ჩემს გულში დღემდე,
დღემდე რომ ბუდობს.
მინდა გითხრა, რომ შენსა
სიყვარულს
შევეწირები პატარა ბავშვი,
შევეწირები და არც ვინანებ,
რადგანაც უკვე დავიგვიანე.
მინდა გითხრა, რომ
მიყვარხარ ძლიერ,
მინდა გითხრა, რომ დიდხანს
იცოცხლე,
შენზე ფიქრებმა მთლად
გადამრიეს.
შენი თვალები ჩემი ცრემლია
რომელიც დიდს ხანს
გამაწვალებს.

დიდი სიყვარულით,
მაკა გუმბელიძე, 14 წლის,
ქობულეთი

## ჭრელა-ჭრელა ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიჭიერ მსახიობსა და მომღერალს გია გაჩეჩილაძეს, ისევე, როგორც ბევრ ადამიანს, თავისი კუმირი ჰყოლია. იგი რამაზ ჩხიკვაძეა. მსახიობი თვლის, რომ რამაზმა დიდი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში, თვლის, რომ ეს მსახიობი ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი ძლიერი არტისტია.



მერაბ სეფაშვილი დიდი პატივისცემით ეპყრობა თავის თაყვანისმცემლებს. იგი საოცრად თავმდაბალია და ცდილობს, ყველა მასზე შეყვარებული ადამიანი დაარწმუნოს იმაში, რომ ისიც აბსოლუტურად ჩვეულებრივი ადამიანია. „– ბევრს ჰგონია, რომ ხელით ვერ შეეხება, რაღაც სხვანაირი ჰგონიხარ. ეს სიყვარულის ზღვარს გადაცილებული რამაა. მე უზომოდ მადლობელი ვარ მათი", – აცხადებს მერაბი.



თურმე ლილიკო ნემსაძეს საოცრად ჰყვარებია სამზარეულოში ტრიალი, თუმცა ხშირად არ უწევს იქ შესვლა და კერძების მომზადება. განსაკუთრებული სიამოვნებთ კომპოზიტორი სალათებს იმზადებს და ძალიან უხარია, როდესაც მისი მომზადებული საჭმელი მოსწონთ, „– ერთხელ მეგობრისთვის დილის 5 საათზე გავაკეთე აჩმა," – ამბობს ლილიკო.

## მიყვარხართ მომღერლებო

## წერილი ზურა ხაჩიძეს



გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო“ და „ოსკარელებო“, ეს ჩემი პირველი წერილია და იმედია, უყურადღებოდ არ დამტოვებთ და გამოაქვეყნებთ.

ზურა, მე შენ ძალიან მიყვთარხარ, მინდა, რომ ახლოს გაგიცნო. ძალიან მომწონხარ. როცა გიყურებ მეტირება. მინდა შორიდან მოგეფერო შენი სიმღერები ძალიან მომწონს. მინდა თქვენი გაცნობა. მე შენზე ვგიჟდები, შენი პლაკატებით ვცოცხლობ. ზურა, შენ არც კი მიცნობ, ნეტავ იცოდე როგორ მიყვარხართ, არასოდეს დაგივიწყებთ ძალიან ვიტანჯები. ძალიან მენატრებით. სად შეიძლება თქვენი გაცნობა. მე შენი ფანი ვარ.

ზურა, ძალიან მიყვარხარ, არასოდეს დაგივიწყებ.

**ფანი ეკა, 20 წლის**

## წერილი „ფან-კლუბს!“

გამარჯობა, მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და ძალიან მიყვარხართ. დიდ ხანს ვფიქრობდი მომეწერა თუ არა თქვენთვის წერილი და ბოლოს მაინც გავრისკე. არ მინდა ამ წერილით ვინმეს ჩემი აზრებით ტვინი გამოვუჭედო, რჩევა-დარიგებებით დავღალო, ან თავი მოვაბეზრო. მე მხოლოდ მინდა სიმართლეს თვალებში ჩახედონ და სწორად იმსჯელონ თინეიჯერებმა და ჩემმა თანატოლებმა.

ახლა კი დავიწყებ ჩემს სათქმელს, თუმცა არ ვიცი, როგორ, რადგან არ მინდა ვინმეს გული ვატკინო. საოცრად მაკვირვებს მომღერლების ასეთი გაღმერთება, ცაში აყვანა და ტრფიალი, რაც თინეიჯერებს ახასიათებთ. ბევრჯერ წამიკითხავს თქვენს ჟურნალში მათი მისამართით დაწერილი სასიყვარულო წერილები და იმის ძახილი, თუ როგორ უყვართ ლელა წურწუმია, ქეთა თოფურია, ზურა და პაატა ხაჩიძეები და ა.შ.

იცით, მე არც ერთი მათგანის მიმართ არ ვარ ანტიპათიით განწყობილი, პირიქით ძალიან ლამაზი ქალბატონია ლელა წურწუმია, ქეთა თოფურიაც მომწონს, მათ სიმღერებს სიამოვნებით ვუსმენ და ბევრი სიმღერა მიყვარს კიდეც. ასევე დიდ პატივს ვცემ ჯგუფ „ქუჩის



ბიჭებს“ და მათ ყველა წევრს, განსაკუთრებით ზურას. მათ სიმღერებსაც ხშირად ვუსმენ და ძალიან მომწონს, მაგრამ არა ისე, რომ „ვაფრენდე“, ნუთუ თავმოყვარეობა არ გაქვთ ასე რომ უხსნით სიყვარულს თქვენს სიყვარულის ობიექტს. რა საჭიროა „ფანატური“ სიყვარული, ეს ხომ ტკივილის, იმედგაცრუებისა და უიმედობის მეტს არაფერს მოგიტანთ. ეს საკუთარ თავზე, რომ არ გამომეცადა აქ არ დავწერდი. 3 წლის წინ თავდავიწყებით, სიგიჟემდე მიყვარდა ჯგუფი „სახე“ და დათო ხუჯაძე. ღამეები არ მეძინა, ტელევიზორს არ ვშორდებოდი იქნებ სადმე გამოჩდნენმეთქი, ვბოდავდი დათოს დანახვაზე, ეს თითქმის 1 წელი გრძელდებოდა, 15 წლის ვიყავი მაშინ. ახლა გავიზარდე და მივხვდი, რომ ეს ყოველივე ჩემი ბავშვური გატაცება და სისულელე იყო. როცა ვხედავ ახლა თინეიჯერებს ჩემი თავი მახსენდება. აი, ნახავთ გავა დრო და გაგეცინებათ ამ ყველაფერზე. ეს სიყვარული არ არის. როგორ შეიძლება არ იცნობდე ადამიანს და გიყვარდეს, როგორც ადამიანი. შეიძლება გიყვარდეს როგორც მომღერალი, მაგრამ... საოცარია ნუთუ დაილია თბილისში და მთელს საქართველოში გოგო-ბიჭები მიუწვდომელ მომღერლებს უიმედოდ, რომ ეტრფით, თუმცა გულს ვერ უბრძანებ, მაგრამ, მაინც.

ზოგს უკვირს კიდეც ამბიციური, რომ ხდება მომღერალი, ეს, ისევ და ისევ, ჩვენზეა დამოკიდებული, ასე რომ, ვაღმერთებთ, ძალაუნებურად ხდებიან ეგეთი, თორემ...

აი, ეს მინდოდა მეთქვა და მერჩია, იცოდეთ ცალ მხრივ უიმედო სიყვარულზე საშინელი არაფერია. შეიყვარეთ ის, ვინც თქვენ შეგიყვარებთ და თავს ნუ დაიმცირებთ!

მინდა მკითხველები გამომეხმაურონ, განსაკუთრებით ზურა ფიცხელაური, 16 წლის. თუკი ამ წერილს წაიკითხავ ზურა, გთხოვ შენი აზრი მომწერე.

**ნენო მიძელაძე, 18 წლის**

*(სტილი დაცულია)*

## პაატა ხაჩიძეს



გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო“, მე თქვენი ჟურნალი ძალიან მიყვარს. თქვენთან ანუ „ფან-კლუბში“ პირველად ვწერ წერილს და დიდი იმედი მაქვს, რომ გამოაქვეყნებთ და გულს არ დამწყვიტავთ. ამ წერილს მე ვწერ ყველაზე ლამაზ, ყველაზე კარგ, ყველაზე კეთილ და მაგარ ადამიანს — პაატა ხაჩიძეს, გთხოვთ გამომიქვეყნოთ.

მოგესალმებით ძვირფასო პაატა, მე შენი უერთგულესი თაყვანისმცემელი ვარ. მინდა გითხრა, რომ ყოველთვის კარგად იყო და უფალი გფარავდეს. კიდევ მინდა გითხრა ისიც, რომ ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარხარ. ყველგან შენზე ვფიქრობ სახლში თუ ქუჩაში. ძალიან დიდ პატივს გცემ.

**შენი უერთგულესი ფანი**
**ნინო, 19 წლის**

## „მე შენ შემიყვარდი“
### რუსა მორჩილაძეს



„მე ნისლებს შენსკენ
ფიქრით გამოვყვები,
ღიმილი მომენატრა შენი
გაპარულა, ლამაზი სიყვარული
ჩვენი,
სად მიაქვს ქარს, ეს ჩემი
სიყვარული
ოცნებამ რად დაკარგა ფერი
მომენატრა საოცარი სიტყვები
შენი
მოვა შენი ხატება მაგრამ
როდის
მოვა ფიქრი სიმღერით მოდის
მოდის
მე შენს ნახვას ვინატრებ შენს
სიყვარულს ვინატრებ,
გული ველარ შეელია ლოდინს“.

**ლელა ფილიევი**

## მერაბ სეფაშვილს



გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო“, მე თქვენ ძალიან მიყვარხართ. დიდი სიხარულით ველოდები ყოველ ხუთშაბათს რომ თქვენი გაზეთი წავიკითხო. ძალიან გთხოვთ, გამოაქვეყნოთ და უყურადღებოდ არ დამიტოვოთ ჩემი პირველი წერილი.

მერაბ, მე შენ ძალიან მიყვარხარ, აგრეთვე მიყვარს შენი ყველა სიმღერა, მინდა, მუდამ გვაჩუქო საუკეთესო სიმღერები და მრავალი საუკეთესო კლიპი. შემოქმედებაში წარმატება და დიდი სიხარული მინდა გისურვო. ძალიან მიყვარხარ და მწამს შენი. იმედია, გაზეთი „ფან-კლუბი“ შენი ნახვის საშუალებასაც მომცემს.

**შენზედ უზომოდ შეყვარებული ფანი ნინო, 19 წლის**

(სტილი დაცულია)

# კითხვა-პასუხი

**გ**აიკეთა თუ არა ქეთამ მკერდის ოპერაცია?

გვანცა, 13 წლის



ქეთა: – არა, საიდან მოიტანეთ? ასეთი სისულელე ჯერ არ მსმენია.

**რ**ა საჩუქარი გაახარებდა დათო ხუჯაძეს დაბადების დღეზე?



დათო: – საჩუქარი თავისთავად კარგია უკვე.

**რ**ოდის აქვს დაბადების დღე ნათია გოჯიტიძეს?

მარი, 12 წლის



– ნათიას 18 ივლისს აქვს დაბადების დღე.

**რ**ამდენი წლისაა სალომე გასვიანის ძმა – გიორგი?

ლამარა, 13 წლის



– გიორგი 9 წლისაა, მაისში 10-ის გახდება.

**პ**ასუხობს თუ არა ფანების ზარებს პაატა ხაჩიძე?

სოფიკო, 15 წლის



პაატა: – რა თქმა უნდა, მე ვპასუხობ ფანების ზარებს, ბევრ მათგანთან ამგვარად ვკონტაქტობ და ვმეგობრობ კიდეც.

**ს**ად ცხოვრობს ირაკლი ნოზაძე?

მარიკა, 15 წლის



– ირაკლი საბურთალოზე ცხოვრობს.

**რ**ამდენი წლისაა ჯგუფ „რონდოს" წევრი ელენე?

თათია, 17 წლის



– ელენე 25 წლისაა.

**რ**ოდის არის ნინი ქარსელაძის დაბადების დღე?

მარი, 12 წლის





– ნინის დაბადების დღეა 11 აპრილს.

**ლ**ელას საყვარელი პოეტი.

ხატია ხელაძე, 15 წლის



ლელა: – გალაკტიონ ტაბიძე.

**მ**აინტერ[illegible]ებს, რატომ ეძახის ლაშა კუკულაძე ერთ [illegible]გოს ზურას, რომელიც ურეკავს მას და რატ[illegible] არ ინტერესდება მისი ვინაობით?

ცირა მეტონიძე, 16 წლის.



ლაშა: – [illegible]დესაც იმ გოგოს ველაპარაკებოდი, ყოველთვის მეუბნებოდა, თუ არ დამელაპარაკები, ზურას დავურეკავო. მეც მომბეზრდა, ავდექი და ზურა დავარქვი. რაც შეეხება ვინაობას, გავიცანი, კარგი გოგო აღმოჩნდა და ზურასაც აღარ ვეძახი.

**ვ**ინ დააარსა ჟურნალი „ოსკარი" და გაზეთი „ფან-კლუბი"?

ანა, 13 წლის

– ჟურნალი „ოსკარი" დააარსა გოჩა გრიგალაშვილმა, გაზეთი „ფან-კლუბი" კი ნოდარ მელაძემ.

## ჭორულა-ჭორულა ამბები





ნინი ბადურაშვილი პატარაობისას ძალიან წყნარი და წესიერი ბავშვი ყოფილა. როგორც ეკა ამბობს, იგი დღემდე ასეთად დარჩა. არ ყოფილა ჯიუტი. რომ ეტყოდნენ, მოდი და იმღერეო, ყველანაირ სიტუაციაში მღეროდა თურმე, უნდოდა ეს, თუ არა. ამ დროს ეკას თუ არ უნდოდა, ვერაფრით ამღერებდნენ ბავშვობაში.



"დუტა" სხირტლაძეს საშინლად აღიზიანებს, როდესაც სახლში ურეკავენ და ხმას არ იღებენ. როგორც მსახიობმა აღნიშნა, ზარები მაინცდამაინც მაშინ ატყდება, როდესაც ბავშვი იძინებს. ამ დროს ჩვენი შოუმენი გაღიზიანებულია და მამაპაპურად იგინება. „– კახელი ვარ და აქედან გამომდინარე, გინება არ მიჭირს, თან კარგად ვიცი", – ხუმრობს "დუტა". მსახიობს ახლობლების წრეში მართლაც მყრალი ენა ჰქონია.



ლიზა ბაგრატიონს ძალიან ჰყვარებია ფრანგული, იტალიური და ჩინური სალათების მომზადება, რომლებსაც თავისებური იმპროვიზაციებით აზავებს თურმე. ამიტომაც ჩემი სალათები უფრო ლიზურია, ვიდრე ჩინურიო, იცინის მომღერალი. თურმე მეუღლე ამაყად აცხადებს თანამშრომლებთან, აი, ეს კერძი მიირთვით ლიზას მომზადებულიაო. ძირითადად კი, დედამთილის მომზადებულ კერძებს მიირთმევენ.

# უიმე, უიმე, რატომ ვარ ცოცხალი!




– ისთე მიჭირს ამ თოვლში და ატალახებულ ამინდში გარეთ ბოდიალი და ჭორების გაგება, რომ ერთ სიკვდილს ვათავებ. მარა, რომ მახსენდება თქვენთვის ჭორები მაქვს გასაგები, მოსვენებას ვკარგავ და ნირი ისე მიხდება, რომ მერე ვერც მეფარიძის სახელს ვიხსენებ და ვერც თოფურიას ასაკს. რავა ოუშვა ხელი ამ ატეხილმა მარტმა და რა ამინდებია თუ ხედავთ?! ღმერთო კი მომკალი, რითი გვგავს ქალებს ეს გადასაშენებელი თვე რომ გვადარებენ, რაც კი სამარცხვინო და საშინელია, ყველაფერს ჩვენ რავა შეგვადარებენ, გაწყდეს მაგათი სინსილა, ჰა!



– ეს რომ გევიგე, ვთქვი, სიყვარული არ გადაშენებულა-მეთქი. გულიც ამიჩუყდა და ჩემი საშულა გამახსენდა... თურმე, რუსა ამერიკიდან რომ ჩამოსულა, ქმარი იქ დოუტოვებია. ჭკვიანი კაცია, საქმის მოსაგვარებლად დარჩა, მარა დღეში 4-5-ჯერ ურეკავდნენ თურმე ერთმანეთს – "ჩემო სიყვარულო, მომენატრე, რას შვრები, სულ შენზე ვფიქრობ და ა.შ." აბა, დღეს ადვილად წააწყდებით ასეთ მოსიყვარულე ცოლ-ქმარს? რა თქმა უნდა, ვერ წააწყდებით. რუსას და აჩიკოს ისეთი განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ, რომ ტყუილია.

* * *

– პა, პა, პა, რას არ გეიგებს ეს ყურები, ალბათ, იმიტომაც არ იზრდება ეს ბედოვლათები. ამბობენ, მაია დარსმელიძე ისეთ ფორმაშია, შეგშურდებაო. რად უნდა შემშურდეს, რაც კაია?! თუ კარგ ფორმაშია, მაგაზე კაი რა უნდა იყოს. იმასაც ამბობენ, ვიღაც პიროვნება გამოჩენილა



მის ცხოვრებაში და იმას მიუცია მომღერლისთვის სტიმული. საერთოდ, ასეა, თუ არავინ გყავს გვერდით ისეთი რომ გაეპრანჭო და კურტუმო გოუქნიო, ქე ხარ თავმოუვლელი და დაჩაჩანაკებული, მარა, იმ წუთიდან, გამოჩნდება თუ არა ვინმე ვაჟკაცი, ვიწყებთ, ქალები სარკეში საათობით ტრიალს და მანჭვა-გრეხვას.

* * *

– თქვენ შემოგევლოთ დეიდა ვასასი, ქე ვიცი ახლანდელი გოგონების გემოვნება, გამხდა-



რი, ფერწასული და უნიათო ბიჭები მოგწონთ. აგი ისე, მევიბჟუტურე, არ ვიცი, რატომ. ჯგუფ „ინტროს" ვაჟკაცები მეტად მექალთანეები ყოფილან. ბიჭები უყურადღებოდ არ ტოვებენ არც ერთ სიმპათიურ გოგოს. არა, ისე კაცი ქე უნდა აფასებდეს ლამაზ ქალს, მარა, მთლად ისეც არ უნდა გეიგიჟოს თავი, რომ გააქციოს იგი. განსაკუთრებით „ბაბნიკი" ვანიკო აღმოჩნდა, მას ძალიან ჰყვარებია სუსტი სქესისათვის თავის მოწონება და მათთან „ბლატაობა". ერთ-ერთ „ფართიზე" ისე მოუბეზრებია გოგოსთვის თავი, რომ იმ ბეჩავს უცებ დოუტოვებია საღამო და „დათესილა".

* * *

– რა ჰქვიაო „ქუჩის ბიჭების" თეთრ წევრსო? რომელი-



ღაცა მხატვრის სახელს რომ უძახით, აა, მგონი „პიკასო", ხო, ხო, „პიკასო" და მისი ცოლი ანუშკა ხშირად დაძვრებიან თურმე „სან-ტაფეში". ანუკას ძალიან მოსწონს ამ რესტორნის სიტუაცია და „სან-ტაფეს" კერძები, განსაკუთრებით კი სალათები „ოლივიე" და „სიმინდის ტორტი". „პიკასოს" სხვა რა ძალა აქვს, ადგება და მიუყვება გზას „სან-ტაფესაკენ". ასეა, აბა, რა გგონიათ თავს უღელში რომ გოუყრით და ცოლს მეიყვანთ, მერე უნდა იაროთ მის გემოზე.

* * *

– დევენაცვლე ამ ჩემს კაი გამგებ და ტკბილ ადამიანს, ვისზე ვიტყვი ახლა, თუ არა „უცნობზე". ამ ჩვენს ნიჭიერ



კაცს ღამღამობით რომ ჰყვარებია სიმღერების და ლექსების წერა, თუ იცით თქვენ?! ადგება თურმე, მუზა რომ მოსულია და მეტი გზა არა აქვს, მოიმარჯვებს ფურცელს და კალამს. ზის თავისთვის სამზარეულოში და სიჩუმეს უსმენს. მერე იწყებს წერას, მარცხენა ხელზე თავი აქვს დადებული და დრო და დრო თითებს ატკაცუნებს. აი, ასე იქმნება „უცნობის" „მაგარი" ლექსები. დამიკარით თავი და თქვით, რომ მართალი ვარ, როცა ამ „ნოყიერი" კაცის ლექსებს ვაქებ.

* * *

– ამ ჩვენს თვალხატულა გოგოს – ნინი ბადურაშვილს, დასდევს ეს თავისი ძველი თაყვანისმცემელი და მოსვენებას უკარგავს



თურმე. ბიჭს, როგორც ჩემმა ყურებმა გეიგო, ხუთი წელია ჰყვარებია ნინი. ნუ მეიკითხავთ და მას თავის მუზად აცხადებს. ბიჭს ოცამდე ლექსი დოუწერია ნინიზე, თან ყველა ზეპირად იცის. მერედა, როგორი გულსაკლავი სიტყვებია შიგნით; წერილები სულ კარებთან ხვდება მომღერალს, ზოგჯერ ყვავილების თანხლებით და ზოგჯერ სუნამოს ფლაკონებით. ისთე, მეც ქე გამახარებდა კართან ამისთანა საჩუქარი რომ მენახა. ნინისი არ ვიცი, მარა მე ქე მომილბობდა გულს ასეთი აქტიური მამაკაცი.

# კითხვა-პასუხი

მაინტერესებს ჯგუფ „Blue"-ს წევრის ლის სიმაღლე.



– ლის სიმაღლეა 180 სანტიმეტრი.

რამდენი წლისაა ვიქტორია ბექჰემი?



– ვიკი არის 27 წლის.

ნიკ კარტერს თმა შეღებილი აქვს, თუ იგი ბუნებრივად არის ქერა?



– ნიკი ბუნებრივადაა ქერა.

„Atomic kitten"-ის რომელი წევრია მოდელი?



– ჯენი ფროსტი.

რამდენი წლისაა სელინ დიონი?



– სელინი 34 წლისაა.

რამდენი სახლი აქვს რიკი მარტინს?



– ოთხი – ერთი მაიამიში, ერთი პუერტო-რიკოში, დანარჩენი ორი ვილადან ერთი ლოს-ანჯელესში მდებარეობს, მეორე კი – ბარსელონაში.

ენრიკე იგლესიასს ტუჩთან ბუნებრივი ხალი აქვს?



– თავად ამბობს, რომ ეს ხალი ბუნებრივია, ასე რომ, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დავუჯეროთ.

რა სტილის ჩაცმულობა მოსწონს JLO-ს?



– JLO – „ძირითადად კლასიკური, თუმცა თავს სპორტულ სამოსშიც ძალიან კომფორტულად ვგრძნობ."

რა პროფესიის არიან „Destiny's Child"-ის გოგონები?



– ბიონსე ნოულესი მსახიობია, მიშელ უილიამსს მხოლოდ კოლეჯი აქვს დამთავრებული, კელი როულანდი კი დიზაინერია.

მოსწონს თუ არა Pink-ს ჩაცმის კლასიკური სტილი?



– არა. Pink-ი უპირატესობას ანიჭებს ნაკლებად ქალურ და ავანგარდულ ტანსაცმელს.

როგორი ურთიერთობა აქვს JLO-ს ექს ბოიფრენდ Puffy-სთან?



– ისინი ერთმანეთს ცივილიზებულად დაშორდნენ და ახლა ნორმალური ურთიერთობა აქვთ.

რატომ აღარ ჩანს სცენაზე ნიკის უმცროსი ძმა აარონი?



– აარონი ახალ ალბომზე მუშაობს, თანაც დუეტს იწერს, ასე რომ, აქტიურ შოუ-ბიზნესს იგი სულ მალე დაუბრუნდება.

ჯგუფი "BSB"-ი საბოლოოდ დაიშალა?



– არა. მალე ბიჭები ახალ ალბომზე დაიწყებენ მუშაობას.

როგორც ვიცი, ფრედ დარსტს ახლახან დაბადების დღე ჰქონდა. მაინტერესებს, რამდენი წლის გახდა იგი და დაბადების დღეზე ბრიტნი სპირსი თუ დაპატიჟა?



– ფრედი 31 წლის გახდა. ბრიტნი დაბადების დღეზე დაპატიჟეს, მაგრამ იგი წვეულებაზე არ მისულა.

რამდენი წლისაა ჯერი ჰოლიველი?



– ჯერი არის 30 წლის.

დანი მინოუგი ქაილი მინოუგის ტყუპისცალია?



– არა, უბრალოდ, იგი თავის დას ძალიან ჰგავს.

## ჭრელა-ჭრულა ამბები



საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ წამყვანს – ზაალ უდუმაშვილს საშინლად არ ჰყვარებია მეუღლესთან ერთად ბაზრობაზე სიარული. როგორც ყველა მამაკაცს, მასაც ეზარება ათი წრის დარტყმა და დიდხანს სიარული. „– ამიტომაც ვეუბნები, თუ ბაზრობაზე მიდიხარ, ნუ მეტყვი-მეთქი“, – აცხადებს წამყვანი.



როგორც ლელა აცხადებს, საკმაოდ ლაღი ბავშვი იყო, არაფერში არ ზღუდავდნენ. იგი ბებიების გაზრდილი ყოფილა და შესაბამისად, იყო გათამამებულიც. „– მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში ვსწავლობდი, ჰუმანიტარული საგნებისადმი უფრო მქონდა მიდრეკილება. რაც მთავარია, ყველა გაკვეთილზე ვხატავდი, ხატვა გენეტიკურად მომდევს, მამაჩემი მხატვარია“, – აცხადებს მომღერალი.



ეკა კვალიაშვილის თქმით, რომ არა მომღერალი, მსახიობი იქნებოდა. თურმე ერთ დროს ძალიან სდომებია თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება, მაგრამ მუსიკა ამის დროს და საშუალებას არ აძლევდა. პირველი სამუსიკო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლა კონსერვატორიაში აღარ გაუგრძელებია, რადგანაც სწავლის პერიოდში პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრმა მიიწვია და სასწავლებლადაც იქ დარჩა.

# გასართობი გვერდი

მოცემული ასოებით შეადგინეთ სიტყვა

| ნ | რ | კ | ი | ვ | ს | დ | ო | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რამდენად ერკვევი შოუ-ბიზნესში?

გაზეთ “ფან-კლუბის“ საშუალებით თქვენ შეგეძლებათ შეამოწმოთ თქვენი ცოდნა, თუ რამდენად ერკვევით შოუ-ბიზნესში. ყველა კითხვას თავზე მოთავსებული აქვს სირთულიდან გამომდინარე ქულები 1-დან 5-ის ჩათვლით. პასუხები გამოქვეყნებულია მე-15 გვერდზე.

**3 ქულა**
რა ერქვა ჯგუფ „რონდოს“ ყოფილ წევრს?

**1 ქულა**
რომელ მომღერალს აქვს ხალი.

**5 ქულა**
რომელ კომპოზიტორთან თანამშრომლობდა სალომე გასვიანი ამერიკაში?

**2 ქულა**
რამდენი და ჰყავს ეკა მანიჟაშვილს?

**4 ქულა**
რა ჰქვია „ქუჩის ბიჭების“ ბოლო ალბომს.

**1 ქულა**
ვინ ასრულებს გიო ცერცვაძის როლს სერიალში „ძილის წინ“

**1 ქულა**
რა ფერის თვალები აქვს ქეთა თოფურიას?

**2 ქულა**
ვინ არის მსახიობ ნატა მურვანიძის ბებია?

**4 ქულა**
რამდენი შვილი ჰყავს ლილიკო ნემსაძეს?

**5 ქულა**
ვის ეკუთვნის „ქუჩის ბიჭების“ პირველი სოლო კონცერტის რეჟისურა?

**2 ქულა**
რომელ რადიოში მოღვაწეობენ – ზვიო, მიშა მშვილდაძე და ა.შ.

**5 ქულა**
ამერიკის რომელ ქალაქებში ჩაატარეს ქართველმა მომღერლებმა კონცერტები?

**დაითვალეთ ქულები:**

0 ქულა: თქვენ საერთოდ ვერ ერკვევით შოუ-ბიზნესში და ალბათ, არც ჟურნალი „ოსკარი“ წაგიკითხავთ ყურადღებით.

1-დან 3-მდე: შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებმა გვერდზე რომ ჩაგიარონ ან იცნობთ და ან ვერა. თუმცა, ცოტ-ცოტა რამ მაინც გაგეგებათ.

0-დან 8-მდე: სულ ცოტა ხანია, რაც დაინტერესდით შოუ-ბიზნესის ამბებით. ყოველ შემთხვევაში ასეთი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია, თქვენი პასუხებიდან გამომდინარე.

8-დან 15-მდე: შეიძლება საფუძვლიანად ვერ ერკვევით ქართულ შოუ-ბიზნესში, მაგრამ თუ ასე გააგრძელებთ, ალბათ, რომელიმე ჟურნალში ერთი წლის მერე სამსახურსაც იშოვით.

15-დან 25-მდე: ყოჩაღ, ალბათ „ოსკარის“ არც ერთ ნომერს არ ტოვებთ და გაზეთ „ფან-კლუბის“ დახმარებით თქვენს კუმირს უამრავ კითხვას უსვამთ.

15-დან 35-მდე: თქვენ შოუ-ბიზნესის მემატიანე ბრძანდებით და თავისუფლად შეგიძლიათ, ქართული შოუ-ბიზნესის ისტორია დაწეროთ.

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

① რომელ სოფელში აღიზარდა აკაკი წერეთელი?

A) სავანეში
B) ანაგაში
C) ეწერში
D) შუამთაში

② რომელ პოემაში გვხვდება სახელი ალაზა?

A) სტუმარ-მასპინძელში
B) ბედი ქართლისაში
C) ალუდა ქეთელაურში
D) თორნიკე ერისთავში

③ ქვემოთ ჩამოთვლილი მომღერლებიდან რომელი მღერის სიმღერას „მიფრინავს დრო"?

A) მარიკა თხელიძე
B) თიკა ჯამბურია
C) სალომე გასვიანი
D) ნინი ქარსელაძე

④ ვის მიჰყავს გადაცემა „ლარის მახე?"

A) ნიკა ლომიძეს
B) სოსო თოლორაიას
C) გიორგი გიორგანაშვილს
D) დათო გომართელს

⑤ რომელ წელს ჩატარდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება?

A) 1102 წ.
B) 1003 წ.
C) 1103 წ.
D) 1102 წ.

⑥ სად მდებარეობს ბაგრატის ტაძარი?

A) ქუთაისში
B) ზუგდიდში
C) ვანში
D) სენაკში

## ასოციაციობანა ასოციაციობანა

| | | | |
|---|---|---|---|
| უიფიანი | ფადიშაჰი | სახელი | საზოგადოება |
| ხუჯაძე | იმპერატორი | მამის სახელი | ნაცია |
| ოძელაშვილი | ხელმწიფე | ... | ტომი |



იპოვეთ 5 განსხვავება



## ანეკდოტები

გვიანი ღამეა. კაცს ბანდიტი აჩერებს.

– ახლავე ფული!

– ბატონო... – იბნევა გამვლელი, ფული რომ თქვენ მოგცეთ, ცოლი სახლში აღარ შემიშვებს...

– სამწუხაროა, მაგრამ ჩემს ცოლსაც მასეთი ხასიათი აქვს, – უხსნის ბანდიტი.

* * *

– ცოლად რომ მომყვები, რისი გაკეთება შეგიძლია?

**– შემიძლია კვერცხი მოვხარშო.**

**– კიდევ?**

**– შემიძლია არ მოვხარშო.**

* * *

ოთხი შეიარაღებული სვანი მეტროს მატარებლის მემანქანესთან შეიჭრა.

– ჩქარა, შეიცვალე კურსი... მესტიაში შეუბერე, თორემ ავფეთქდებით!

– ფრთხილად, კარები იკეტება. შემდეგი გაჩერება უშგული... დაიძრა მატარებელი.

## ჭორულა-ჭორულა ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



მომღერალი ნუცა შანშიაშვილი პროფესიით მხატვარი ყოფილა. იგი პირველად პეტერბურგში ჩასულა თავის მეგობართან, სადაც გადაწყვეტილი ჰქონდა ან ეხატა ან ემღერა. პეტერბურგიდან მალე მოსკოვში გაემგზავრა და არბატზე დაიწყო სიმღერა ერთ-ერთ კლუბში. ნუცა მღეროდა ჯაზს. იგი 5 წლიდან ელა ფიცჯერალდს უსმენდა და მისი გავლენის ქვეშ გახლდათ. ამას მოჰყვა კონცერტები, გასტროლები და წარმატებები. მერე ფრანგებმა მიუზიკლიდან „ედიტ პიაფი", ნუცას ედიტი შეარქვეს და თან „ჩვენს გიჟ ქართველს" ეძახდნენ. სულ ახლახან ნუცა აჩიკო მეფარიძესთან ერთად იყო ამერიკაში და იქ არაერთ კონცერტში მიიღო მონაწილეობა.

• • • • • • • • • • • • • • • •

თურმე ჯგუფი „Soft Eject"-ი, რომელიც 1990 წელს ჩამოყალიბდა, 1992-95 წლებში ცხრაჯერ იყო გასტროლებზე გერმანიაში. იქ ჯგუფმა 100-ზე მეტი კონცერტი ჩაატარა და გამოსცა 5 აუდიოალბომი. 1995 წელსვე გადაიღეს კლიპები სიმღერებზე „please just carry on" და „A Dozing day". ამჟამად ეს მხრცოვანი ჯგუფი ახალ სინგლზე მუშაობს, რომელიც 15 წუთიან კომპოზიციას მოიცავს და ერქმევა „Night".

• • • • • • • • • • • • • • • •



თურმე, ნუ იტყვით და, გია გუმბერიძეს არ უყვარს ზედმეტად ემანსიპირებული ქართველი ქალები. მისი თქმით, ქალმა უნდა იცოდეს, რომ ის ქალია და ყოველთვის უნდა მოიყვანოს თავი ფორმაში იმის და მიუხედავად მუშაობს თუ სახლში ზის.

## ჭრელა-ჭრელა ამბები



თუ გახსოვთ, ენრიკე იგლესიასის ერთ-ერთი ცნობილი ჰიტის „Love To See You Cry"-ს კლიპში ერთი ლამაზი მოდელია გადაღებული, რომელიც ენრიკეს შეყვარებულის როლს თამაშობს. ჰოდა, სწორედ ამ მოდელზე ამბობენ, რომ ადრე კაცი იყო, შემდეგ ოპერაციის გზით სქესი შეიცვალა და ახლა ლამაზ ქალად იქცაო. ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება საკმაოდ რთულია და საერთოდ, ძალიან ძნელი წარმოსადგენია ის ფაქტი, რომ ეს მშვენიერი ქალი ერთ დროს კაცი იყო.

• • • • • • • • • • • • • •

უპოპულარულესი რუსული ჯგუფის „Smash"-ის ერთ-ერთი წევრი ბოლო კლიპის „Talk To Me"-ს გადაღებისას კინაღამ სერიოზულად დაიჭრა. ბიჭები დუელის სცენას იღებდნენ და ერთმანეთს ლამის მართლა გაუყარეს ხანჯლები. საბოლოოდ, გადაღებები მშვიდობიანად დასრულდა და ახლა ეს კლიპი რუსულ MTV-ზე ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ვიდეორგოლად ითვლება და მასზე მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება.

• • • • • • • • • • • • • •



JLO-სა და LL COOLJ-ის დუეტზე – „All I Have", კლიპის გადაღებისას ლოპესს დაავალეს, რომ ერთ-ერთი სცენის დროს მაქსიმალურად ბუნებრივად ეთამაშა – გულიანად ეტირა. ჯენიფერმაც ძალები მოიკრიბა, და წარმოსახვით ბავშვობის ხანას დაუბრუნდა – მაშინ იგი საკმაოდ ხელმომჭირნედ ცხოვრობდა და დიდად არც პერსპექტიული მომავალი ესახებოდა თვალწინ. ეს დრო რომ წარმოიდგინა, ისეთი ცრემლები ალვარლვარა, რომ მთელი მაკიაჟი სახეზე ჩამოუვიდა და დაკისრებულ მისიას ერთი-ორად გადააჭარბა.

# Pink-ი – „იდეალური კუმირი ფანებისათვის"



მომღერლები, რომლებიც, ერთი შეხედვით, უხეშნი და ცივები ჩანან, ფანებთან დამოკიდებულებაში ძალიან თბილები და მეგობრულები არიან და ხშირად თაყვანისმცემლებს საკუთარი ინიციატივით ხვდებიან.

Pink-იც სწორედ ამ კატეგორიის ვარსკვლავებს მიეკუთვნება და ალბათ, ამიტომაც დღეს უკვე მას ბრიტნიზე და ქრისტინაზე მეტი ფანიც ჰყავს.

"რამდენიმე ფანთან მართლა ვმეგობრობ, ისინი ჩემს აბსოლუტურად ყველა გამოსვლას ესწრებიან და მერე ხშირად დისკოთეკებზეც დავდივართ ერთად. ერთ-ერთ მათგანმა – ლესლიმ რამდენიმე კვირის წინ იმშობიარა, იმ დროს მე მის გვერდით ვიყავი. ბავშვს ჩემი სახელი ალისია დაარქვეს და მალე მე მისი ნათლია გავხდები.

"ერთგული თაყვანისმცემლები არასოდეს მაღიზიანებენ – პირიქით, მე მათი არაჩვეულებრივად მესმის. ბავშვობაში მეც ვიყავი ჯგუფ „Aerosmith"-ის ფანი და მათ რომ ვუყურებ საკუთარი თავი მახსენდება. ჩემს ოთახში ამ ჯგუფის პლაკატები მქონდა გაკრული, მათი ყველა სიმღერის ტექსტი ზეპირად ვიცოდი და მათ ყველა კონცერტს ვესწრებოდი. ამის გამო ხშირად დედასთან კონფლიქტი მქონდა, რადგან მას ეს ბენდი არ მოსწონდა და მეუბნებოდა, მათ მოსმენას ჯობია ხელში წიგნი აილო და რაიმე ისწავლოო.

დღეს კი, მე უკვე იმდენს მივაღწიე, რომ „Aerosmith"-ის წევრები ჩემი მეგობრები არიან და მათთან დუეტიც მაქვს ჩაწერილი. ამიტომ მე ჩემს თაყვანისმცემლებს ყოველთვის ვურჩევ, რომ არავის არ მოუსმინონ და გააკეთონ ის, რაც უნდათ."

***– ფანებთან დაკავშირებულ რაიმე უცნაურ კურიოზს ხომ არ გაიხსენებ?***

– ერთ-ერთ ჩემს ფანს თავისი ბოიფრენდი იმის გამო დაშორდა, რომ ეს გოგონა მას მხოლოდ ჩემზე ელაპარაკებოდა, ეუბნებოდა, რომ მე ძალიან ვუყვარვარ. როცა ეს ამბავი გავიგე, ამ ბიჭს თავად შევხვდი, დავარწმუნე რომ შეცდომა დაუშვა და გოგონასთან შევარიგე. ახლა ისინი ჩემს კონცერტებზე ერთად მოდიან და ჩემს გამოც აღარ ხჩუბობენ.



***– შენი აზრით, ამერიკელი ფანები უფრო თბილები არიან თუ ევროპელები?***

– ამის თქმა ძალიან ძნელია. ყოველი მათგანი სითბოს თავისებურად ავლენს და მე ვერცერთ მათგანს ვერ გამოვარჩევ, რადგან ყველა ჩემი მსმენელი ძალიან მიყვარს.

***– აბეზარი ფანები არ გყავს?***

– თითო-ოროლა ჩემი მსმენელი შეიძლება კიდევაც არის ასეთი, მაგრამ მათი უმეცრობა არანაირად არ მაწუხებს, ასე რომ, უზრდელი ფანების არსებობას ვერ ვგრძნობ.

***– ისინი, შენს პირად ცხოვრებაში ცხვირს არ ყოფენ?***

– ჩემს პირად ცხოვრებაში დიდად საინტერესო, როგორც წესი, არაფერი ხდება ხოლმე, ასე რომ, აქ ცხვირის ჩასაყოფიც არაფერია.

***– ახლახანს შენ ფანებთან შეხვედრა „TRL"-მაც მოგიწყო – მოგვიყევი იმ დღეს რა მოხდა?***

– ნიუ-იორკში მხოლოდ ამ შეხვედრის გამო ჩავფრინდი. იქ მართლაც უამრავი თაყვანისმცემელი დამხვდა. ზოგიერთი მათგანი სტუდიაში იყო, უმეტესობა კი ტელევიზიის გარშემო იყო შეკრებილი, ჩემ სახელს ყვიროდნენ. არადა, იმ დღეს მართლა ძალიან ცუდი ამინდი იყო, თოვდა, საშინლად ციოდა, ის საწყლები კი ალბათ გაიყინნენ. მე მათ ჩემი კომპაქტ დისკები ვაჩუქე, ავტოგრაფები დავურიგე და შეძლებისდაგვარად, მათთან სურათებიც გადავიღე. სტუდიაში რამდენიმე სიმღერაც ვიმღერე – იქ მყოფნი გასაკუთრებული აღფრთოვანებით „Family Portrait"-ს შეხვდნენ, ამიტომ სპეციალურად მათთვის ეს სინგლი ორჯერ შევასრულე.



ასევე საინტერესო იყო ის, რომ იქ მყოფ გოგონათა უმეტესობას თმა ჩემნაირად ჰქონდა შეჭრილი და შეღებილი. ეს ძალიან მესიამოვნა, ჩემი სტილი ალბათ, მათთვის მისაღებია და ამ იმიჯით თავს თავადაც ძალიან კომფორტულად გრძნობენ.

ახლა კი ვაპირებ, მსგავსი შეხვედრა ევროპელ ფანებთანაც მოვაწყო, არ მინდა, რომ მათ თავი ჩემი მხრიდან მიტოვებულად და დავიწყებულად იგრძნონ.

მოამზადა
თამთა მჭედლიშვილმა

# ანეკდოტები

მასწავლებელი ეკითხება პატარა მიტოს:

– ამიღწერე კენგურუ!

მიტო: კენგურუ ცხოვრობს ავსტრალიაში, მუცელზე ჩანთა ჰკიდია, რომელშიც მაშინ იმალება, როცა შააშინებენ...

* * *

გურულს ჰკითხეს, ინგლისური თუ იცი?

– მაი რავა არ მეცოდინება? – იყო პასუხი.

* * *

წერილი სტუდენტ შვილს:

– ახლავე მომწერე, როგორ ჩაიარა გამოცდებმა?

პასუხი:

– ბრწყინვალედ, გამომცდელები მთხოვენ, შემოდგომაზეც გავიმეორო!

* * *

ხევსური აბანოში იყო. სახლში რომ მივიდა, ცოლს შესჩივლა:

– "ბუშლატა" დავკარგე.

ერთი წლის შემდეგ აბანოში კიდევ წავიდა. იქედან მოსულმა ცოლს ახარა:

– "ბუშლატა" ვიპოვე!

– სად იყო?

– მაიკ ქვეშ ჩამცმიყო!

* * *



მეგრელმა ცოლთან გაშორება გადაწყვიტა და ცდილობს უმტკივნეულოდ გააგდოს თავისი სახლიდან:

– ისე მიყვარხარ, მადონა, არ ვიცი უშენოდ რა უნდა ვქნა, მაგრამ ხვალიდან შევეცდები მოვიფიქრო რაიმე...

* * *

– ქალო, რა გინდა დაბადების დღეზე გაჩუქო? – ეკითხება ჭიჭიკია ცოლს.

– ჭიჭი, აბა, რა მოუხდება ჩემს ხელებს, კისერს, ყურებს? – მრავლისმეტყველად აუჟუჟუნა თვალები ცოლმა.

– მიყიდია, აპა, საპონი!

* * *

ახალი ქართველი სტომატოლოგთან მივიდა.

ექიმი: – ჰოო... კბილი უნდა ამოვიღოთ და ადგილობრივი ანესთეზიის გარეშე არაფერი გამოვა!

– ექიმო, ამერიკული ანესთეზია არ გაქვთ?

* * *

– ოფიციანტ, ეს ქათამი ცალფეხაა.

– მერე რა მოხდა, შე კაცო, საცეკვაოდ მიგყავს, თუ რაია?

* * *

განცხადება:

– შოთა მქვია და ვცხოვრობ რუსთავში, ესე იგი, გარ რუსთაველი. მაქვს თუ არა უფლება, ერთი „ვეფხისტყაოსანი“ მეც დავწერო?!

* * *

– აქ რას აშენებენ?

– კვლევით ინსტიტუტს.

– რა უნდა გამოიკვლიონ?

– უნდა გამოიკვლიონ, რას იკვლევენ ამდენი კვლევითი ინსტიტუტები.

* * *

მეზობლები: – გუშინწინ ცოლი გეჩხუბებოდა, მთვრალი ხარო, გუშინ შენ ეჩხუბებოდი, მოგეჩვენაო, დღეს თქვენი ხმა აღარ, მამიგონია, რაშია საქმე?

– „ნიჩიაზე“ შევთანხმდით.

* * *

ორმა ნარკომანმა „მერსედესის“ მოპარვა დააპირა. შეიპარნენ ეზოში, იჩალიჩეს, იჩალიჩეს, მაგრამ კარი ვერაფრით გაალეს. გაბრაზებულებმა ხმაური ატეხეს. უცბად ერთ-ერთ შუშაბანდში შუქი აინთო და ტრუსიკ-მაიკიანი „მერსედესის“ პატრონი გამორბის კიბეებზე.

– ავითესოთ, სიმონ, ეე! – ამბობს ერთი.

– მაიცა, ბიჭო, იქნებ გასაღები მოაქვს! – პასუხობს მეორე.

# სკანვორდი






პარლამენტის




ეროვნული ბიბლიოთეკა

საეკლესიო ჭურჭელი
მტაცებელი ფრინველი
ქალაქი სამხრეთ კორეაში
ველური ვარდი
ჯოისის ნაწარმოები
ინგლისელი ზღვაოსანი
ცხენოსანი ჯარი
გველის ბარტყი
ტყის მცველი
მდიდრული საგარაკე სახლი
ნაცია
ქარი ჩინეთში
მიმართვა ინგლისში კაცისადმი
შეიარაღებული ძალები
ქორბუდა ცხოველი
ესკიმოსთა სახლი
გერმანული ავტომობილი
... პაჩინო
მდინარე საქართველოში
კინორეჟისორი ... რიჩი
იაპონური ჭიდაობა
... კლინტონი
ყაიმი ანუ
უდაბნო პერუში





... ხოფერია
პანტომიმის მსახიობი
სოფელი ონის რ-ში
ზოდიაქოს ნიშანი
ქვ.ფრანგული ხურდა
ესპანური საფეხბურთო კლუბი
ჭამი ანუ
მთები ციმბირში
იტალიის ტელევიზია
მუსულმანური მართვა
ნიანგის სახეობა
გაზაფხულის ყვავილი
მდინარე საფრანგეთში
რუსი ილუზიონისტი
ჭრილობა ანუ





ბილიარდის ჯოხი
კომში ანუ
აგენტი 007
უბანი თბილისში
ქალაქი საფრანგეთში
„თოვლის დედოფალი“ პერსონაჟი
ცულის სახეობა
ზნე ხასიათი
ფართობის საზ. ერთეული
ქალაქი უკრაინაში
მთები ამერიკაში
მტაცებელი ფრინველი
გადამდნარი კარაქი
ტაძარი თბილისში
სასწორის თეფში
... გაგარინი
წესი ტრადიცია
... კალანდაძე
მოგება ნარდში
ჯადოსნობა ანუ
მეორე ნოტი
ფრანგ მეფეთა სახელი
„სამი მუშკეტერი“ პერსონ.





შეძახილი კორიდაზე
მარჯნის კუნძული
... რაიანი
... კეკბერნი
ფალიაშვილის ოპერა
სალუდე მცენარე
ვივიენ ...
ქალაქი საქართველოში
მეშვიდე ნოტი
ბულგარული მისანი ქალი

# ამავე ნომრის პასუხები

ლაბირინთი მე-10 გვ-ზე
სკანვორდი

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
კონკურსი მე-11 გვ-ზე
1 – a, 2 – c, 3 – c, 4 – a, 5 – d, 6 – a.

ასოციაციობანა
ალმაშენებელი

სკანვორდი მე-13 გვ-ზე
1-1 – კაენი, 1-4 – ანაგა, 2-8 – ხე, 2-14 – ბალი, 2-15 – ექო, 3-1 – დანა, 3-4 – გნუ, 4'-4 – აია, 4-4 – ყრუ, 5-7 – ალიბაბა, 5'-9 – ნიკე, 5-9 – ადათი. 5-15 – დათა, 5-16 – დოქი, 7-11 – საბა, 8-5 – თაფლი, 8-11 – ობობა, 9-6 – გია, 9-8 – კალამი, 9-12 – ოდა, 10-4 – ტაო, 10-7 – ბატა, 10-16 – შრომა, 11-7 – ნოე, 11-8 – ნანისი, 11-10 – ნარდი, 11-15 – ქირა, 12-1 – აბრაგი, 12-3 – რომი, 12-13 – ბედი, 12-15 – ედი, 14-1 – დურუ, 14-3 – ამება, 15-8 – სე, 15'-15 – მედი, 15-15 – ის.

სკანვორდი მე-14 გვ-ზე
1-5 – ბარძიმი, 1-7 – ორბი, 1-8 – სეული, 1-11 - ასკილი, 1-12 – ულისე, 2-8 – კუკი, 3-7 – კავალერია, 3-12 – ნიწილა, 4-7 – ეგერი, 5-7 – ვილა, 5-12 – ერი, 6-2 – ხარბინი, 6-3 – სერ, 6-4 – არმია, 6-9 – ირემი, 6-15 – იგლუ, 7-7 – აუდი, 7-10 – ალ, 7-11 – რიონი, 8-2 – გაი, 8-3 – სუმო, 8-7 – ბილ, 8-11 – ფრე, 8-14 – მასკა, 9-14 – ეკა, 9-16 – მიმი, 10-2 – ირი, 10-9 – კურო, 11-9 – სუ, 12-1 – რეალი, 12-7 – დრო, 12-8 – ურალი, 12-15 – რაი, 13-8 – რამაზანი, 14-1 – კაიმანი, 14-8 – ია, 14-14 – ალიე, 14-15 – კიო, 14-16 – იარა, 16-1 – კიი, 16-2 – ბია, 16-3 – ბონდი, 16-10 – ელია, 17-7 – კანი, 17-8 – კაი, 17-9 – ეჩო, 17-14 – ნირი, 17-16 – არი, 18-8 – კიევი, 19-2 – ანდები, 19-4 – ძორი, 19-6 ერბო, 19-7 – სიონი, 19-13 – პინა, 19-15 – იური, 20-7 – ადათი, 20-10 – ანა, 20-15 – ოინი, 21-2 – მაგია, 21-8 – რე, 21-10 – ანრი, 21-11 – ათოსი, 22-5 – ოლე, 22-6 – ატოლი, 22-12 – მეგ, 23-5 – ოდრი, 23-8 – დაისი, 23-9 – სვია, 24-11 – ლი, 25-5 – რუსთავი, 25-6 – სი, 25-8 – ვანგა.

სკანვორდი მე-15 გვ-ზე
1'-5 – ფაცაცია, 1-5 – პავლე, 1-8 – ტაიმი, 1-11 – მანანა 2-5 – ქატო, 2-11 – ბუ, 2-12 – ძუ, 5-12 – ლოდი, 5-14 – ენძელა, 5-15 – ტორტი, 6-1 – "ოკნა", 6-3 – ცერი, 6-6 – მარიკა, 6-9 – ბატი, 7-14 – საკე, 8-4 – ნეზვი, 8-13 – ნინიძე, 9'-2 – ზნე, 9-2 – პო, 9-4 – ვარია. 10-9 – ფხა, 10-16 – ლაღიძე, 11-6 – კრივი, 11-7 – ბუში, 12-9 – ილი, 12-11 – ნაიკი, 12-12 – კიი, 13-8 – შაშვი, 15-8 – სალი, 15-11 – კიბე, 15-13 – ობი.

სკანვორდი მე-16 გვ-ზე
1-12 – არე, 1-11 – ლა, – 1-14 – ტიბრი, 2-1 – მადონა, 2-4 – [illegible], 2-5 – ურიკა, 4-1 – [illegible], 4-5 – ანა, 4-11 – ნესტი, 4-13 – [illegible], 4-14 – ტერფი, 5-1 – ოტავა, 5-11 – პრაღა, 6-7 – თხა, 6-9 – ანა, 6-16 – ელიტა, 7-13 – ხე, 7-16 – კარატი, 8'-2 – ხბო, 8-2 – ყბა, 9-7 – თან. 9'-13 – [illegible], 9-13 – ინა, 15-4 – ალო, 10-6 – ლი, 11-11 – ურო, 12-4 – აბო, 12'-11 – [illegible], 12-11 – [illegible], 14-7 – [illegible], 14-3 – კაბა, 14-13 – [illegible], 14-14 – სოსო, 14-15 – „ოსკარი", 15'-4 – ფერი, 15-4 – ბრა, 15-8 – დო.

## ანეკდოტები

ქიქიკია და ბიჭიკია თევზის დასაჭერად წავიდნენ გუშინ.
– დაიჭირეს?
– კი, ორივე.

* * *

– ყველაზე მეტად რა მოგეწონა საზღვარგარეთ, ქიქიკია?
– ბარი, სიმონ.
– ჩვენთან რა არ მოგწონს ყველაზე მეტად?
– თოხი, სიმონ!

* * *

ნარკომანი თოჯინების თეატრში საბავშვო სპექტაკლზე შევიდა:
– სიმონ, ბავშვებო, აბა მითხარით, მგელი საით წავიდა?
– იქეეთ... იქეეთ! – აყრიამულდნენ ბავშვები.
– ჩემი დე... რა ჩამშვები თაობა მოდის, ტოო!

* * *

ქალმა პოლიციელთან მიირბინა.
– იცით, ვიღაცა კაცი მომდევს, ან მთვრალია, ან – გიჟი.
პოლიციელმა ქალი აათვალიერ-ჩაათვალიერა.
– მე მგონია, უსინათლოა.

## სკანვორდი



# სკანვორდი




გაზეთი "ფან-კლუბი" საშუალებას გაძლევთ პირისპირ შეხვდეთ თქვენს საყვარელ მომღერალს —

**ნინი ქარსელაძეს.**

ამისათვის საჭიროა შეაგროვოთ ის ბარათები, რომელსაც ჩვენი გაზეთი პერიოდულად გამოაქვეყნებს და ის, ვინც შეაგროვებს ციფრებს 01, 02 და მიიღებს მონაწილეობას გათამაშებაში, რომლის პირობებიც გამოქვეყნდება გაზეთ "ფან-კლუბის" მე-10 ნომერში, გამარჯვებული დასაჩუქრდება ბილეთით, რომლის საშუალებითაც იგი პირისპირ შეხვდება ნინის კლუბ "ნეოში".

**02** "ფან-კლუბი" №9, 2003

## ყურადღება!

ნებისმიერი კითხვა, რომელიც გსურთ დაუსვათ თქვენთვის საყვარელ პიროვნებას და შესაბამისად მიიღოთ პასუხი, უნდა ჩააწერინოთ გაზეთ "ფან-კლუბის" ოპერატორს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 15-დან 16 სთ-მდე. წერილები კი გამოგზავნეთ მისამართზე: კოსტავას 14, მე-2 სართ., გაზეთი "ფან-კლუბი"

## აბა, გამოიცანი



ისინი, ვინც გამოიცნობთ ვინ არიან გამოსახულნი ამ ფოტოებზე, დაგვიკავშირდით ორშაბათს, 17 საათიდან. ტელ: 98-95-79